11/02/2025

MES 3 25 0000135930

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28. 01. 2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
2. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **გიორგიღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **დავით გეგეჭკორი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ანი ბილანიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
4. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- კახაბერ კორძაია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;
- მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო მინდიაშვილი - დოქტორანტურის სამსახურის უფროსი;
- თეა კასრაძე - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
- მამუკა თორია - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თეა ლაზარაშვილი - ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- რუსუდან დალაქიშვილი - საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ფიქრია კაპანაძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში;
- სალომე კუჭუხიძე - პრორექტორი სასწავლო დარგში;
- ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
- თეა კბილცეცხლაშვილი - პრორექტორი კვლევის დარგში;
- ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების
- დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ირაკლი შამათავა - სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი,
- პროგრამის ხელმძღვანელი;
- თამარ კაკუტია - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- იოსებ ხელაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მერაბ ხოხობაია - ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- მანანა ლობჟანიძე - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- მარინა ჩავლეიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ია ნაცვლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
- ქეთევან ჩიტალაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- ნინო ქიმერიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
- შოთა ფოთლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

- თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის რექტორის მოადგილე;
- პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე - მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
- ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია - თავდაცვის ანალიზის მიმართულების
- ხელმძღვანელი;
- ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე - თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი;
- ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის
- ოფიცერი;
- სოფიო ფაჩულია - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ექსპერტები:

- გეორგ ქუფი (Georg Köpf) (თავმჯდომარე) (I საკითხი);
- ეკა გეგეშიძე (წევრი) (I საკითხი);
- დევი შონია (წევრი) (I საკითხი);
- მედეა ჭელიძე (წევრი) (I საკითხი);
- გიგა ხოსიტაშვილი (წევრი) (I საკითხი);
- მარიამ ბურმისტროვა (წევრი) (I საკითხი);

- ჟუზანნა სელესი (Zsuzsanna Széles) (თავმჯდომარე) (II საკითხი);
- ეკატერინა ზაქარაძე (წევრი) (II საკითხი);
- სანდრო ტაბატაძე (წევრი) (II საკითხი);
- ჟანა სირბილაძე (წევრი) (II საკითხი);
- საბა ყაფლანიშვილი (წევრი) (II საკითხი).
- ეკა დევიძე (თავმჯდომარე) (III საკითხი);
- თამარ გვიანიშვილი (წევრი) (III საკითხი);
- გვანცა აბდალაძე (IV, V საკითხები).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **გოჩა თუთბერიძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო, „ფინანსების“ საბაკალავრო, „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო, „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვა და უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვის ანალიზის" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848368, "სსიპ - საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმროს მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციისმინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848322 და "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848338 გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო, „ფინანსების“ საბაკალავრო, „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო, „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენა);
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვა და უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვის ანალიზის" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848368 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.
7. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმროს მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციისმინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848322 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.
8. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848338 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

პირველი საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო, „ფინანსების“ საბაკალავრო, „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო, „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო მარკეტინგი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;

პროგრამა №5
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 40;
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს განსახილველი საკითხის ირგვლივ.

პირველი საკითხის ზეპირიმ ოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, გეორგ ქუფი (Georg Köpf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მასალები წინასწარ კარგად იყო მომზადებული. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებასთან პროგრამებთან დაკავშირებით დასვა კითხვები და მიიღო სათანადო პასუხები. მისი თქმით, ექსპერტებს ხუთი განსხვავებული სესია ჰქონდათ უნივერსიტეტში ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მზად არის მომავლისთვის. ყველა პროგრამა შეესაბამება მინისტრის ბრძანებებით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მხოლოდ მცირე შენიშვნები პროგრამებთან მიმართებით. გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით ექსპერტებმა დაწესებულებისაგან მიიღო არგუმენტირებული პასუხი, თუმცა მისი გათვალისწინება ვერ მოხერხდა ვიზიტის შემდგომ მოწოდების გამო. ექსპერტებმა დაინახეს ის, რომ უნივერსიტეტი მზად იყო გაცემული შენიშვნების შესრულებისთვის, რაც მისასალმებელი იყო. გეორგ ქუფიმ (Georg Köpf) ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტები სხვადასხვა შეხვედრებსა თუ კონფერენციებში ჩართვის მიზნით. ყველა პროგრამასთან დაკავშირებით პროგრამების მიზნები უფრო ოპტიმიზებული და მოკლე უნდა იყოს სტუდენტის მიერ მათი უფრო მეტად გაგების მიზნით. უნივერსიტეტი არის ძალიან კარგი. პროგრამები შეესაბამება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებს. დაწესებულებამ პროგრამების განვითარებას უნდა გააგრძელოს მუშაობა ისე, როგორც ახალა მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამების მიმართ გაცემული იყო მხოლოდ ერთი კლასტერული რეკომენდაცია, რომლის შინაარსი ბუნდოვანია: „რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას“. ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს დაისვა კითხვა ლექტორები გაცდენილი სემინარების აღდგენის საშუალებას აძლევდნენ თუ არა სტუდენტებს, რაზედაც დაწესებულებამ უპასუხა, რომ ამის შესაძლებლობა სტუდენტებს ჰქონდათ, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ უფლების რეალიზება მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხდებოდა. რაც შეეხება „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, მასში სემინარები არ ტარდება. მოცემულ პროგრამაში ხდება სტატიების ზეპირი განხილვა, დისკუსია, დებატები, ქეისების განხილვა, სტატისტიკური მონაცემთა დინამიკის ანალიზი და ა.შ. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფში ძირითადად ისეთი აქტივობები მიმდინარეობს, რომლებზეც ჯგუფში სტუდენტთა აქტიურობა,

მსჯელობა, ანალიზი, ფასდება. ცხადია, ამ აქტივობების აღდგენა სამუშაო ჯგუფიდან ცალკე, შეუძლებელია. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ერთობლივად აღსადგენ სემინარებთან დაკავშირებით არ შეიძლება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას ეკუთვნოდეს და შესაბამისად, ის ვერ იქნება კლასტერის რეკომენდაცია. „მენეჯმენტისა“ და „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამების მიმართ პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემული იყო ორი იდენტური რეკომენდაცია მეორე და მეოთხე რეკომენდაციების სახით, რომელიც დაწესებულებამ გაიზიარა და მოიყვანა შესაბამისობაში "უმაღლესი განათლების შესახებ" 48-ე მუხლის პირველი პუნქტთან. აღნიშნული ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბდა: „საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს ყველას, ვისაც საქართველოს ტერიტორიაზე გაცემული ატესტატი უდასტურდება.“ მენეჯმენტისა და ფინანსების საბაკალავრო პროგრამებზე გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, მესამე და მეხუთე რეკომენდაცია, შინაარსობრივად იდენტურია. აღნიშნულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი არ იზიარებს. მისი თქმით, საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ საბაკალავრო ნაშრომს აფასებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია, საჯარო დაცვაზე. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი თავის დასკვნას, შეფასებასთან ერთად აკეთებს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემამდე. ასევე ნაშრომის ხელმძღვანელი თავის დასკვნაში მიუთითებს ბაკალავრის მიერ მთელი სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს აღწერას, შეაფასებს ნაშრომის კვლევით ნაწილს, გაფორმების ხარისხს და წერს შეფასებას 30 ქულის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ იმ კრიტერიუმებში, რომლითაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი საბაკალავრო ნაშრომს აფასებს, არის საბაკალავრო ნაშრომზე სემესტრის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შეფასებაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ბაკალავრის მუშაობას აფასებს არა ერთჯერადად, არამედ, მთელი სემესტრის განმავლობაში, მისი მუშაობის შესაბამისად. ეს სწორედ შუალედური შეფასებაა. რაც შეეხება საბაკალავრო პროექტს, აფასებს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია, საჯარო დაცვაზე. საბაკალავრო პროექტის კრიტერიუმებშიც, რომლითაც საბაკალავრო პროექტს ხელმძღვანელი აფასებს, არის საბაკალავრო პროექტზე სემესტრის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შეფასებაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელი ბაკალავრის მუშაობას აფასებს არა ერთჯერადად, არამედ, მთელი სემესტრის განმავლობაში, მისი მუშაობის შესაბამისად. ეს სწორედ შუალედური შეფასებაა. მარინა გედევანიშვილმა „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციით განსაზღვრული საკითხი უკვე გაითვალისწინა. მისი თქმით, არსებული პროგრამის მიზნების რადიკალური მოდიფიცირება გამოიწვევდა პროგრამის მიზნების მოდიფიცირებას. ასევე სასწავლო კურსების შედეგების მოდიფიცრებასაც. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „პროგრამის მიზნები გადახედვას საჭიროებს. სასურველია პროგრამის მიზნები გადაიხედოს, რადგან მათში არ ჩანს ბიზნესის ადმინისტრირების სფერო და უმჯობესი იქნება თუ პროგრამის მიზნებში აისახება ბიზნესის ადმინისტრირების სფერო”. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის მიზანში ჩამოთვლილი იყო რამდენიმე პუნქტი, რომელსაც ჰქონდა ერთ ქუდი. ,,ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევარი, რომელიც დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის ინოვაციურ კვლევებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით. აკეთებს თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალურ დასკვნებს. კვლევის შედეგად დაგროვებულ ახალ, ინოვაციურ ცოდნას გადასცემს და უზიარებს სამეცნიერო საზოგადოებასა და ბიზნეს სექტორს. აქტიურად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით გადასცემს ცოდნას საუნივერსიტეტო და სხვა საგანმანათლებლო საზოგადოებას. აღნიშნული

დეტალურად ჩამოთვლილი პუნქტები ეკუთვნის სწავლის მიზნებს, რომელიც ფართოდ და გასაგებად არის ფორმულირებული. კარგი იქნება თუ აკრედიტაციის საბჭო იმსჯელებს აღნიშნული რეკომენდაციის რელევანტურობასთან დაკავშირებით. პირველ ზოგად კლასტერულ რჩევასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობები მოიცავს დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ ვისა აქვს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება, ვის შეუძლია პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა, ვის შეუძლია პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. გარდა ამისა, გასაუბრების დროს კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე. დაწესებულებისთვის გაუგებარია რატომ უნდა დარჩეს სტუდენტისათვის კიდევ დამატებით გაუგებრობა მოცემული საკითხის მიმართ. მესამე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS" სწავლება არ არის ერთჯერადი პროცესი. უნივერსიტეტმა ყველა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთა და დოქტორანტთა მოთხოვნით, უკვე 2 წელია მიიღო გადაწყვეტილება, ყოველ სასწავლო წელს, დოქტორანტებთან შეთანხმებით, ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში ჩაატარდეს პრაქტიკული მეცადინეობები. მეოთხე რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც ექსპერტები დასკვნის პროექტის 78-ე გვერდზე წერენ „სტუდენტები ყველა პროგრამაში ეცნობიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებს და მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით ინიციატივებში“. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, დაწესებულებისთვის გაუგებარია რა გახდა IV რჩევის გაცემის საფუძველი. მარინა გედევანიშვილმა მეხუთე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხელმძღვანელებს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის წარმოდგენა ევალებათ სემესტრის დასაწყისშივე. ამის შემდგომ ხდება ნაშრომებზე მუშაობა. შესაბამისად, სანამ ბოლომდე არ მოხდება ნაშრომის დაცვა, ხელმძღვანელი სტუდენტის გვერდითაა. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას, პირველივე სემესტრში ინიშნება ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ყველა იმ კვლევით კომპონენტის შესრულებაზე, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამით. ასევე წარმოდგენილია, დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ მოქმედი პროგრამების ყველა სტუდენტს აქვს საშუალება შეაფასოს კურსების განმახორციელებელი პროფესორები. რაც შეეხება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელების შეფასების საკითხს, მასალებში წარმოდგენილია, თუ როგორ ხდება და რა პერიოდში მათი შეფასება. მეცხრე და მეთორმეტე რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისა და საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები ყოველთვისაა განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა ის სამი ლინკი, რომელიც ამ საკითხების არსებობას ადასტურებდა. მეათე და მეცამეტე რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52^1 მუხლის მე-7 და 71 პუნქტების თანახმად, ჩანაწერი დაამატა „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისა“ და „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო პროგრამებში. მეთოთხმეტე რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2024 წლის 12 აგვისტოს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული იყო განცხადება ხუთივე სადოქტორო პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებით, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზეც, რომელშიც დეტალურადაა ინფორმაცია პრიორიტეტული კვლევითი თემების შესახებ, მიღების წინაპირობებთან, ჩარიცხვის ეტაპებთან და კონკურსანტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ასევე დოქტორანტის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მარინა გედევანიშვილმა მეთხუთმეტე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევით პრიორიტეტებთან

დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე ექსპერტებთან მას აინტერესებდა, რა სახის თანამშრომლობაზე აპელირებდნენ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმებთან დაკავშირებით, მაშინ, როცა დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის მე-10 დანართში წარმოდგენილი მემორანდუმების უმრავლესობაში სწორედ სამეცნიერო - კვლევით პროცესებში თანამშრომლობაზე იყო საუბარი. მეთექვსმეტე რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სულ 4 ადგილი გამოაცხადა. პრიორიტეტული კვლევითი თემები შერჩეულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებულ პროფესორთა მიერ. მოცემულ მომენტში ფაკულტეტი აფილირებულ პროფესორთა ნაკლებობას არ განიცდის, მითუმეტეს ასეთი რაოდენობის მისაღებ კონტინგენტთან მიმართებით. მეთერთმეტე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და პროგრამას დაამატა ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა "სტრატეგიული მენეჯმენტი", "სტრატეგიული მარკეტინგი" და "მარკეტინგული არხების მართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს სადოქტორო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები, როდესაც აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა უფრო ნათლად იქნას აღწერილი ბიზნეს ადმინისტრირების სფერო. ,,ფინანსების'' პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტს ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ენიჭება ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში. შესაბამისად, ბიზნეს ადმინისტრირების დარგობრივი სფეროს მახასიათებელთან სრულად თანხვედრაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უნდა გადადგას გარკვეული ნაბიჯები. ასევე აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები უნდა დაემატოს პროგრამაში, კერძოდ, ,,სტრატეგიული მენეჯმენტი'', ,,ადამიანური რესურსების მართვა'' და ,,ოპერაციათა მენეჯმენტი''. პროგრამის ხელმძღვანელმა, თეა ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ დასახელებული კურსები ასარჩევ საგნებში მითითებულია, თუმცა საბჭოს რეკომენდაციის შემთხვევაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სავალდებულო კურსების ჩამონათვალში. მარინა გედევანიშვილმა აღინიშნა, რომ ყველა პროგრამის ხელმძღვანელი აფილირებულია უნივერსიტეტთან გარდა რუსუდან დალაქიშვილისა, რომელიც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით მკაცრი მოთხოვნა ამ მიმართულებით არ ყოფილა. ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა კურსებით, რომლითაც კომბინირებულია პროგრამა, შედეგებს ფარავს სხვადასხვა სასწავლო კურსებით. სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მოთხოვნადი პროგრამაა როგორც უნივერსიტეტის არსიდან, ისე პროფესორების რაოდენობიდან გამომდინარე. მიზნების უკეთ წარმოჩენის მიზნით გაცემული იქნა რეკომენდაცია. ის დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ შესაძლებელია გაცემული რეკომენდაცია გადატანილ იქნას რჩევაში. რაც შეეხება ბაკალავრიატის პროგრამების რეკომენდაციებს, აღნიშნა, რომ გაცემული იყო მის მიერ, შესაბამისად მიაჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი პროცესში აფასებდა, ნაშრომის ან საბაკალავრო პროექტის შეფასებისას უკუკავშირი სტუდენტს არ ჰქონდა. შესაბამისად, სწორედ ეს იყო საფუძველი შუალედური განმავითარებელი შეფასების რეკომენდაციის გაცემისა. მისი თქმით, გარკვეული პერიოდის შემდგომ უნდა მოხდეს კონკრეტული კომპონენტით სტუდენტის ჯერ შუალედური, ხოლო შემდგომ საბოლოო შეფასება. საბჭოს თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, როგორც საბაკალავრო პროექტის, ისე ნაშრომის დროს აუცილებელია შუალედური შეფასება. ეს არ არის სადოქტორო თეზისი, რომ სტუდენტის ერთჯერადად შეფასება მოხდეს. გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ,,ფინანსების'' პროგრამაში წერია როგორც საბაკალავრო თეზისი, ისე საბაკალავრო პროექტი. მისი თქმით, დაწესებულებას შემუშავებულია აქვს საბაკალავრო ნაშრომის წესი. მას აინტერესებდა, როგორ განიხილავდა დაწესებულება საბაკალავრო პროექტსა და საბაკალავრო თეზის. მისი თქმით,

საბაკალავრო პროექტი არ არის კვლევითი ნაშრომი. დაწესებულების ინსტრუქციაში მათ შორის განსხვავება არ არის ცალსახა. მხოლოდ მითითებულია, რომ რეცენზენტი არ აფასებს საბაკალავრო პროექტს, მაშინ როდესაც შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა გოჩა თუთბერიძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განსხვავება არ ჰქონდა დადგენილი დაწესებულებას საბაკალავრო ნაშრომსა და პროექტს შორის. მისი თქმით, საბაკალავრო ნაშრომი იყო ათ კრედიტიანი, შესასრულებელი სამუშაოდან, მოცულობიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან კვლევა ტარდებოდა, ხოლო საბაკალავრო პროექტი იყო ხუთ კრედიტიანი. სასურველია კვლევის მეთოდების შესწავლა მოხდეს ბაკალავრის საფეხურიდანვე, რათა შემდგომ სამაგისტრო საფეხურისათვის იყოს სტუდენტი მზად. უკვე შესრულებული საბაკალავრო პროექტები არ იყო იმ მოცემულობის, რომლებიც იხილეს ექსპერტებმა, რომ საბაკალავრო კვლევის შედეგად შესრულებული ნაშრომებად ჩაეთვალათ. საბჭოს თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას ,,ფინანსების'' საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. უნარები სწავლის შედეგებში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „განსაზღვრავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთდაკავშირებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ეწევა საფინანსო სფეროში, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკულ საქმიანობას. ეცნობა საინფორმაციო ბაზებსა და პროგრამებს, ფინანსურ ანგარიშებს. აყალიბებს შესაბამისს დასკვნებს, აანალიზებს ბიზნესისა და საფინანსო სფეროში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებს''. მას აინტერესებდა, რამდენად წარმოადგენდა ეს უნარებს და როგორ მოხდებოდა მათი შეფასება. გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ უნარი იყო შემდეგი: კურსდამთავრებულს შეუძლია ბალანსის შედგენა, შეუძლია მოგება-ზარალის უწყისის შედგენა, შეუძლია ფულის მოძრაობის უწყისის შედგენა და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ის რომ ,,ეწევა საფინანსო სფეროში ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკულ საქმიანობას'' მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელიც ნახსენები იქნა საბჭოს თავმჯდომარის მიერ. შესაბამისად, სასწავლო კურსების ფარგლებში მიცემული დავალებითა და მისი შესრულებით შეფასდება ეს უნარები. დაწესებულებაში არსებობს იმიტირებული ბანკი, სადაც პრაქტიკული საქმიანობის კომპონენტებს სწავლობენ სტუდენტები. მან გამოთქვა მზაობა იმის შესახებ, რომ მოხდებოდა გადახედვა ამ საკითხისა. გოჩა თუთბერიძე აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა კონკრეტული და გაზომვადი უნარების არსებობა პროგრამაში. პროგრამა კარგია, თუმცა მცირე დეტალების დაზუსტებას საჭიროებს. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ხდებოდა პროგრამების გარე ექსპერტის მიერ შეფასება. ასევე მოცემულმა პროგრამებმა 2021 წელს გაიარა მონიტორინგის პროცესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:06
დასრულების დრო: 15:29

პროგრამა 1: მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია ("მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან

დაკავშირებით) გადაიტანა რჩევებში და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

ინდივიდუალური რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი.

კლასტერული რჩევები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).

2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.
3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.
4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

ინდივიდუალური რჩევები:

1. სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.
2. "მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი).

პროგრამა 2: ფინანსების საბაკალავრო პროგრამა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.2 და 1.4 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია („რეკომენდებულია სწავლის შედეგების რეფორმულირება იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი შეფასება და გაზომვადობა, „რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ოპერაციათა მენეჯმენტი გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსებში“) და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა გამოიწვია 1 სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, 2.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების გადახედვის, გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია („"ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი) გადაიტანა რჩევებში და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე. 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი;
2. რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ოპერაციათა მენეჯმენტი გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსებში;
3. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რეფორმულირება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი შეფასება და გაზომვადობა;

კლასტერული რჩევები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).

2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.
3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.
4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

ინდივიდუალური რჩევები:

1. "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი);
2. სურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა;
3. სასურველია სილაბუსში "მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზაცია და მართვა" 2017 წლის ლიტერატურის ნაცვლად გამოყენებული იქნეს განახლებული, უახლესი ლიტერატურა.

პროგრამა 3: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდად უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

კლასტერული რჩევები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).
2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.
3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.
4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

ინდივიდუალური რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
2. სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა;
3. სასურველია სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი ლიტერატურა.

პროგრამა 4: საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო მარკეტინგი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 იანვრამდე.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

ინდივიდუალური რეკომენდაცია:

1. პროგრამის აკრედიტაციის მასალების თანახმად, პროგრამის მიზნები შეიძლება უფრო ფართოდ ჩამოყალიბდეს, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს სწავლების დონის კომპეტენცია და უმჯობესი იქნება თუკი მოხდება პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა;

კლასტერული რჩევები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).
2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.
3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.
4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

ინდივიდუალური რჩევები:

1. სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი არჩევითი საგნები, როგორიცაა "სტრატეგიული მენეჯმენტი", "სტრატეგიული მარკეტინგი", "მარკეტინგული არხების მართვა";
2. სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა;
4. სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი.

პროგრამა 5: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისსადოქტორო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 იანვრამდე.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდან უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

ინდივიდუალური რეკომენდაცია:

1. პროგრამის მიზნები გადახედვას საჭიროებს. რეკომენდებულია პროგრამის მიზნები გადაიხედოს, რადგან მათში არ ჩანს ბიზნესის ადმინისტრირების სფერო და უმჯობესი იქნება თუ პროგრამის მიზნებში აისახება ბიზნესის ადმინისტრირების სფერო.

კლასტერული რჩევები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).
2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.
3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.
4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

ინდივიდუალური რჩევები:

1. სასურველია, დაზუსტდეს, სად განთავსდება ინფორმაცია პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესახებ (მაგალითად, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებგვერდზე), რათა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს გაუმარტივდეთ გადაწყვეტილების მიღება;
2. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები და დამყარდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმები, რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად განავითარონ პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშესრულებლო და ტრანსფერული უნარები;
3. ადოქტორო პროგრამის მოქმედი დებულებით ეს კარგი მონაცემია, მაგრამ ახალი დებულებით ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად) შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული გამოწვევები. უმჯობესი იქნება, თუ კსუ დაიჭერს თადარიგს და განიხილავს აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდის საკითხს სადოქტორო პროგრამაზე. თუკი სადოქტორო პროგრამა კვლავ ასეთი მოთხოვნადი დარჩება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად;
4. სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი;

საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 28 იანვარს.

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

„საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;
სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ჟუზანნა სელესი (Zsuzsanna Széles), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში გაიმართა 2024 წლის 24 სექტემბერს და ექსპერტთა ჯგუფში შედიოდა ხუთი ადამიანი. შეფასება ჩატარდა სტანდარტების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა როგორც აკადემიური მიმართულების, ისე არააკადემიური მიმართულების პირებს. მიზანმიმართული კითხვების დახმარებით ჯგუფმა შესაბამისი პასუხები მიიღო პასუხები როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პროცესებზე ნათელი სურათის შესაქმნელად. ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს აკადემიურმა და სამეცნიერო ასევე ადმინისტრაციულმა პერსონალმა და სტუდენტებმა. ასევე შეფასების პროცესში მოთხოვნილი დამატებითი მასალები სრულად იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფისთვის. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც დგინდება თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით და ადგილზე ვიზიტის დროსაც დადასტურდა. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებთან. პროგრამა შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა, უნარები და ასევე პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. კურსების შინაარსი ადეკვატურია და ასახულია კურსების სილაბუსებში, რომლებიც შეესაბამება დაწესებულების რეგულაციით დადგენილ სტრუქტურას და მოიცავს სწავლა სწავლების მეთოდებს, შინაარსს, კრედიტებს, სტუდენტთა დატვირთავს დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების პროცედურებს, ძირითად და დამატებით ლიტერატურას და სხვა სასარგებლო ინფორმაციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა მოიცავს სტუდენტების

პრაქტიკული უნარების განვითარების მრავალ მექანიზმს. სასწავლო გეგმა მოიცავს პრაქტიკულ დავალებას, ჯგუფურ და წყვილებში მუშაობას. ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სტუდენტებმა მიიღონ მეტი პრაქტიკული გამოცდილება და ამისთვის შესაძლებელია, რომ სასწავლო პრაქტიკის ნაწილი იყოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული/პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით უნდა გაძლიერდეს სილაბუსი და უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ სტუდენტები დაესწრონ შეხვედრებს და ტრენინგებს, რომლებიც საერთაშორისო მონაცემთა ბაზებს შეეხება. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ პროგრამასთან დაკავშირებული შიდა აქტებით განსაზღვრული პროცედურებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაწესებულებისაგან მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა საერთაშორისო პროცესების დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და ასევე კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, მათ შორის ტრენინგებით, სამუშაო შეხვედრებით, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს კვლევითი ცენტრები, და ასევე უშვებს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალს, რაც აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობას წარმოადგენს. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა თანამედროვეა და კომპიუტერული მიმართულებითაც მუდმივად ახლდება, რასაც ასევე ადასტურებენ სტუდენტები. პროგრამის ბიუჯეტიც არის საკმარისი იმისათვის, რომ განახლება უზრუნველყოს. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის კონცეფცია სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენების ნაწილია და მიზნად ისახავს მიზნებისა და სტრატეგიების მიღწევას, რომელიც ეფუძნება კვლევისა და შეფასების სისტემურ საჭიროებაზე მორგებულ პრაქტიკებს. რაც შეეხება უნივერსიტეტის შიდა ხარისხის პოლიტიკას, PDCA ციკლის შეფასება მნიშვნელოვან როლს იკავებს და ასევე ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოჩნდა რომ ,,საჯარო ადმინისტრირების'' საბაკალავრო პროგრამაზე ჩატარდა ორი გარე შეფასება. უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის განსაზღვრული წესებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდგომ, 1.4 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციას დაემატა დამატებითი ახსნა-განმარტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი, თამარ კაკუტია, მიესალმა საბჭოს წევრებსა და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია კურსის სათაური „შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში“ შეიცვალოს, რათა სრულად მოიცავდეს კურსის შინაარსს, მათ შორის პოლიტიკურ აზროვნებას“ . მისი თქმით, დაწესებულებამ გააერთიანა ორი სასწავლო კურსი, კერძოდ, „შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში“ და „პოლიტიკური აზრის ისტორია“, რადგან შეფასების პროცესში მთელი რიგი გადაფარვები ხდებოდა საგნებს შორის. გათვალისწინებული იქნება ექსპერტების პოზიცია, მოხდება სახელწოდების ცვლილება და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად ,,შესავალი პოლიტიკურ აზრსა და იდეოლოგიებში''. მეორე რეკომენდაცია დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი ფორმულირებით: „რეკომენდებულია დაემატოს კურსი „საჯარო პოლიტიკის ევროპეიზაციაზე“. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის დროს დაწესებულებისთვის გაუგებარი იყო ის თუ რომელ ნაწილში უნდა დამატებულიყო ეს სასწავლო კურსი, სავალდებულოსა თუ არჩევით კურსებში. მან აღნიშნა, რომ ძირითად საგნებში ეს იყო საკითხებად ჩაშენებული, თუმცა მომავალში დაწესებულებამ შეიძლება აღნიშნული საგანი არჩევითი კურსების ბლოკში დაამატოს. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა გარკვეულ

სილაბუსებში ლიტერატურის განახლებას. მაგალითად მოყვანილია „კომპიუტერული უნარების“ და „პოლიტიკურ მეცნიერების შესავალი“ კურსი. პროგრამა აკრედიტაციისთვის წარდგენილი იყო 2024 წლის ივლისის თვეში. ის სახელმძღვანელო, რომელიც „პოლიტიკურ მეცნიერების შესავალი“ კურსში არის მითითებული 2019 წლისაა. ლიტერატურის განახლება მუდმივი პროცესია. შესაბამისად, დაწესებულებას არ მიაჩნია, რომ ეს სახელმძღვანელო მოძველებულია. რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ საინტერესო რჩევები იყო გაცემული, რომლებსაც დაწესებულება ყურადღებით გაეცნო. მან მზაობა გამოთქვა, რომ დაწესებულება რჩევებს გაითვალისწინებდა. თეა კბილცეცხლაშვილმა აღნიშნა რომ დასკვნაში კომპონენტ 2.2.-ში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ,,სასურველია, რომ მეტი შესაძლებლობები შეიქმნას სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის''. მისი თქმით, დაწესებულებაში საერთაშორისო კონფერენციების განხორციელების მრავალწლიანი ტრადიცია არსებობს. 2024 წლის ოქტომბერში ჩატარდა ,,მეცხრამეტე აბრეშუმის გზის'' საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც დაწესებულების შვილობილია და ითვლის ბევრ წელს და არაერთი ქვეყნიდან ჰყავს წარმომადგენელი. ასევე უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალი. დაწესებულება ყოველწლიურად აქვეყნებს კონფერენციების კრებულს. ჰუმანიტარული სკოლა ასევე ატარებს ამერიკის მცოდნეობის საერთაშორისო კვლევით კონფერენციას, რომელსაც ძალიან დიდი ისტორია აქვს. ასევე ტარდება ახალგაზრდა მკვლევრების საერთაშორისო კონფერენცია. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც კი შეიძლება დაწესებულებამ გააკეთოს არის ყოველწლიური მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების ჩატარება, რომლის შესახებ ექსპერტებს დეტალური ინფორმაცია წარედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები კარგ შთაბეჭდილებებს ტოვებდა. მან დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას ,,პროფესიული ინგლისურ 2''-თან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო ამ კურსის არსებობს პროგრამაში. თამარ კაკუტიამ აღნიშნა, რომ დასაქმების სფეროს არეალი საჯარო სექტორია, სადაც გათვალისწინებულია, სახელმწიფო სტრუქტურები, სამინისტროები და ა.შ. შესაბამისად, მოთხოვნიდან გამოდინარე დაწესებულებას ურჩიეს აღნიშნული კურსის არსებობა პროგრამაში, თუმცა პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია გადაიხედოს გარკვეული საკითხებისთვის და უნივერსიტეტი ოპტიმალურ ვარიანტზე შეჩერდეს. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო კომპიუტერული უნარების სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ეს რეკომენდაცია ლიტერატურის არარელევანტურობასთან თუ საკმარისი რაოდენობის არარსებობასთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ეხებოდა სილაბუსებში ლიტერატურის განახლებას, რათა სტუდენტები ყოფილიყვნენ ინფორმირებული ყველაზე ავთენტური და უახლესი ლიტერატურის შესახებ. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები აღნიშნულში, ვინაიდან საგულისხმოა, რომ მითითებული ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს სწავლის მიზნებს მიღწევას, თუ მხოლოდ სასურველია,რომ ახალი ლიტერატურა იყოს შემოტანილი. საერთაშორისო ექსპერტმა, ჟუზანნა სელესმა (Zsuzsanna Széles) აღნიშნა, რომ ზოგადად კომპიუტერული უნარების ცოდნა მნიშვნელოვანია სამომავლო პერსპექტივისთვის. დაწესებულებაში ლიტერატურა არ იყო პრობლემა, თუმცა მნიშვნელოვანია, სამომავლოდ ლიტერატურის სახით არსებობდეს სხვა დამატებითი წყაროები. კომპიუტერული ტექნოლოგიები სასარგებლო შეიძლება იყოს მონაცემთა ანალიზის ნაწილში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ნაწილში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საჭირო მეტი ლიტერატურის არსებობა. ასევე ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო გადაჭრადი პრობლემა. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას აღნიშნა, რომ პრობლემა ეხებოდა, მხოლოდ ორ კურსს, ,,პოლიტიკის

მეცნიერების შესავალს'' და „კომპიუტერული მეცნიერების“ საკითხს, რომელიც იყო განხილული და ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ საკითხზე ხაზის გასმა. თუმცა აღნიშნა, რომ არსებული პრობლემები ასევე გადაჭრადია. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, აღნიშნა, რომ 4.4. ქვესტანდარტში უმრავლესობა რჩევებისა მიმართული იყო საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის საკითხი. მას აინტერესებდა, რით იყო გამოწვეული არსებული შეუსაბამობა. ექსპერტმა ჟანა სირბილაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის შენობა ვიზუალურად კარგად გამოიყურებოდა, თუმცა რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა იყო იურიდიული ხასიათის. ნაკლოვანება იყო საერთაშორისო ურთიერთობისა და საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით წიგნებისა. ბოლო წლებში დაწესებულება უახლოესი ლიტერატურით შეივსო, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, თუმცა გასაუმჯობესებელი მხარეები ამ მიმართულებით მაინც არსებობს, ვინაიდან, როდესაც საუბარია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებაზე, აუცილებელია არსებობდეს ბევრი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა მოიცავდა როგორც ბეჭდურ წიგნებს, ისე ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების უფრო ახალი გამოცემები და სხვა სახელმძღვანელოები შესაძლებელია იყოს ელექტრონული სახით. ექსპერტების ვიზიტის პროგრამებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები მიწოდებული იქნა. დაწესებულებაში პოლიტიკის მიმართულებით უფრო მეტი სახელმძღვანელოა ელექტრონული, ვიდრე ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში. ნინო ჯოჯუამ დაამატა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რჩევას იღებდა. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მან აღნიშნა, რომ ის გაეცნო კურიკულუმის რუკას, ასევე შედეგების შეფასების მექანიზმს. დასკვნაში ჩანაწერია, რომ პროგრამის განმახორციელებლებმა განსაზღვრეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით ის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სასწავლო კომპონენტები, რომლებშიც მოხდებოდა სწავლის შედეგების შეფასება. განისაზღვრა შემდეგი სასწავლო კურსები: ,,შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში'', ,,საჯარო პოლიტიკა'', ,,სტარტეგიული მენჯმენტი'', ,,კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში'', ,,ინოვაციური მენეჯმენტი'', „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. მას აინტერესებდა, რამდენად რეალისტურად მოახერხებს დაწესებულება მოცემული სასწავლო კომპონენტებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებას მაშინ, როდესაც სასწავლო კურსი ,,შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში'' მეორე და მერვე შედეგის გარდა, ყველა შედეგი გაცნობის დონეზე, ,,საჯარო პოლიტიკა''-ში გაღრმავების, ხოლო ,,სტრატეგიულ მენეჯმენტში'' კი მეორე შედეგის გარდა ასევე ყველა შედეგი გაღრმავების დონეზე გადის. სწავლის შედეგების განმტკიცება ხდება მხოლოდ სასწავლო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომში. ასევე პრაქტიკის კომპონენტით მტკიცდება მეშვიდე და მერვე შედეგი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომით კი პირველი, მეორე, მეოთხე და მეშვიდე შედეგი. დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ კაკუტიამ აღნიშნა, რომ გაცნობისა და გაღრმავების ეტაპის შემდგომ მთელ რიგ კურსებში პრაქტიკული დავალებების მიცემა ხდება. მაგალითად, ,,ინოვაციურ მენეჯმენტში'' იმის გარდა, რომ თეორიული ნაწილი ისწავლება, ასევე სტუდენტი სწავლობს ტექნოლოგიურ მიდგომას, IT-ი ინსტრუმენტებსა და ა.შ. ამის შედეგად ამზადებენ კონკრეტულ პროგრამას და წარმოადგენენ. მისი თქმით, ,,სტრატეგიულ მენეჯმენტში'' ხდება თეორიული კურსის შემდეგ სტრატეგიული დოკუმენტების შეფასება, თუმცა საბჭოს წევრების შენიშვნები ამ კუთხით მისაღებია და კიდევ ერთხელ მოხდება ამ საკითხის გადახედვა. საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ მოცემული საკითხის გადახედვა კარგი იქნება თუ მოხდება გაცემული რჩევების მიხედვით, რადგან პროგრამის შეფასება უნდა მოხდეს იმ კომპონენტში, სადაც ხდება მისი განმტკიცება. შესაბამისად, შესავალი სასწავლო კურსი ვერ იქნება ის კურსი, რომლითაც შესაძლებელია

სწავლის შედეგების შეფასება. საბჭოს თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მას აინტერესებდა, აღრიცხვის ელემენტების ცოდნას საჭიროებდნენ თუ არა კურსდამთავრებულები აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო საგანი „დაფინანსება და ბიუჯეტირება“, რომლის განმავლობაშიც ისწავლებოდა აღრიცხვის საკითხები, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია თავისუფალი კრედიტების სახით ათი კრედიტი სხვა პროგრამიდან სასურველი კურსის აღების მიზნით. სამწლიანი პროგრამა სიახლეა და ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა დაწესებულებას მისი ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, ამ მიმართულებით პროგრამაში ეტაპობრივად მოხდება გადახედვა მოხდებოდა, რადგან ეს მიმართულება მნიშვნელოვანია პროგრამისთვის. ირაკლი შამათავამ დაამატა, რომ ,,აუდიტი საჯარო მმართველობაში'' სასწავლო კურსია პროგრამაში შემოთავაზებული, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები გათვალისწინებული. შესაბამისად, 180 კრედიტიანი პროგრამის შემუშავების დროს გარკვეულ საგნებზე უარის თქმა მოუწია დაწესებულებას. საერთაშორისო მიმართულების გაძლიერების კუთხით აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობს ამ მიმართულების გაძლიერებას, თანამშრომლობს ზაარლენდის უნივერსიტეტთან, ასევე გაფორმდა მემორანდუმები ოთხ წამყვან უნივერსიტეტთან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებისა. და ბოლოს აღნიშნა, რომ მაღალი დაინტერესება მოყვა დაწესებულების მიერ დაანონსებულ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „ხელოვნური ინტელექტის როლი საჯარო მმართველობაში“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყები სდრო: 16:38
დასრულების დრო: 16:48

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში დაამატა ორი რეკომენდაცია („რეკომენდებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების უნდა დაიწეროს სასწავლო კურსების ფორმირების კუთხით“, „სწავლის შედეგები შეფასდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში რომელიც გადის განმტკიცებაზე“) და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია 1-ელი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
ასევე, 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების გადახედვის, გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.5 კომპონენტში არსებული ორი რეკომენდაცია („რეკომენდებულია დაემატოს კურსი „საჯარო პოლიტიკის ევროპეიზაციაზე“, „რეკომენდებულია სილაბუსების ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს მიეწოდოთ უახლესი ინფორმაცია, მათ შორის საგანთან დაკავშირებული ყველაზე ავთენტური და უახლესი მასალების შესახებ“), გადაიტანა რჩევებში, რომელსაც კომპონენტის შეფასების ცვლილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 იანვრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების უნდა დაიწეროს სასწავლო კურსების ფორმირების კუთხით;
2. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები შეფასდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში რომელიც გადის განმტკიცებაზე;
3. რეკომენდებულია კურსის სათაური „შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში“ შეიცვალოს, რათა სრულად მოიცავდეს კურსის შინაარსს, მათ შორის პოლიტიკურ აზროვნებას.

რჩევები:

1. სასურველია დაემატოს კურსი „საჯარო პოლიტიკის ევროპეიზაციაზე“;
2. სასურველია სილაბუსების ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს მიეწოდოთ უახლესი ინფორმაცია, მათ შორის საგანთან დაკავშირებული ყველაზე ავთენტური და უახლესი მასალების შესახებ;
3. სასურველია, „საჯარო პოლიტიკის“ სილაბუსი გადაიხედოს, რათა მისი შინაარსი სრულად შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სახელს;
4. სასურველია, პროგრამა შეიცავდეს წინაპირობებს და დეტალურ ინფორმაციას უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებით (ენობრივი ბარიერის შემთხვევაში), რადგან პროგრამა ქართულ ენაზეა;
5. სასურველია, რომ მეტი შესაძლებლობები შეიქმნას სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის;

6. სასურველია, ახალი მემორანდუმების საფუძველზე უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტებისთვის სტაჟირების შესაძლებლობები, რათა სტუდენტებს თავად არ მოუწიოთ სტაჟირების მოძიება;
7. სასურველია შეიქმნას პრაქტიკის შესაძლებლობები, რათა რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, რაც მნიშვნელოვან ღირებულებას შესძენს როგორც სტუდენტებს, ისე პროგრამას;
8. სასურველია დამსაქმებელთა ქსელის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ პრაქტიკას, სხვადასხვა დარგის დამსაქმებლების გათვალისწინებით;
9. თუ პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო სტუდენტებზე, სასურველია პრაქტიკის პარტნიორობისთვის რამდენიმე საერთაშორისო დამსაქმებლების ჩართვა;
10. სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული გამოცდილების მისაცემად, სასურველია საგანმანათლებლო პრაქტიკის ნაწილი ორგანიზებული იყოს უნივერსიტეტის მიერ. ამასთან, უნდა გაძლიერდეს სილაბუსი პროექტების მართვაში და სტუდენტებმა 9 მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ბაზებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტრენინგებსა თუ საინფორმაციო შეხვედრებში;
11. თანამშრომლობითი კვლევითი პროექტების წახალისება: სასურველია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კვლევით პროექტებზე პარტნიორობის ხელშეწყობა, რაც გააძლიერებს ჩართულობასა და შედეგებს, სტუდენტები შეიძენენ ღირებულ პრაქტიკულ გამოცდილებას;
12. დამატებითი შიდა კონფერენციების ორგანიზება: სასურველია ყოველწლიურ ღონისძიებთან ერთად მეტი შიდა კონფერენციები დაგეგმვა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობისა და კვლევების გაზიარების წახალისება;
13. აკადემიური ჟურნალის პოპულარიზაცია: სასურველია უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით მიზანმიმართული სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება, მეტი კონტრიბუციის მოზიდვა როგორც სტუდენტებისგან, ისე - პროფესორებისგან;
14. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მისი ყველა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროფილების არსებობა სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate;
15. სასურველია, შეფასების სისტემის უფრო მეტი სიზუსტე. მაგალითად: აკადემიური აქტივობის ანგარიში იძლევა ფიქსირებულ ქულებს და არა ცვალებად ქულებს Web of Science-სა (Clarivate) და Scopus-ში (Elsevier) გამოქვეყნებული აკადემიური სტატიების კომპონენტისთვის;
16. სასურველია ავეჯის განახლება: შეიძინეთ თანამედროვე, ერგონომიულ ავეჯი აუდიტორიებისთვის და სასწავლო სივრცეებისთვის, უფრო ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მაგალითად თანამედროვე მაგიდები და სკამები, რომლებიც უკეთ შეესაბამება უმაღლესი განათლების გარემოს;
17. სასურველია ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაფართოება: გააფართოვეთ ბიბლიოთეკის სივრცე სტუდენტთა მზარდი კონტინგენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური მუშაობისა და ინდივიდუალური სწავლის ხელშეწყობას;
18. სასურველია ლიტერატურის კატალოგის გამრავალფეროვნება: გაამდიდრეთ ბიბლიოთეკის კოლექცია სხვადასხვა დარგის რესურსებით, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებითი წიგნებისა და ჟურნალების შეძენას, რომლებიც სცდება სავალდებულო საკითხავ მასალას;
19. სასურველია გაიზარდოს მონაცემთა ბაზის გამოყენება: მიზნობრივი კამპანიების საშუალებით გაზარდეთ ცნობადობა ხელმისაწვდომი ონლაინ მონაცემთა ბაზების შესახებ, ისეთი საშუალებებით როგორიცაა საინფორმაციო სესიები ან ციფრული

რესურსები, რომლებიც ხაზს უსვამს მათ სარგებელს. ეფექტური კვლევისთვის საჭირო უნარების გასაძლიერებლად ჩაატარეთ დამატებითი სემინარები ან ტრენინგები კვლევის მეთოდოლოგიებზე და მონაცემთა ბაზების ნავიგაციაზე;

20. სასურველია რესურსების რეგულარული გადახედვა: დააწესეთ ბიბლიოთეკის კოლექციებისა და მონაცემთა ბაზების გამოწერის პერიოდული გადახედვა, რაც უზრუნველყოფს მათ რელევანტურობას და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცვალებადი საჭიროებების დაკმაყოფილებას;
21. სასურველია ინვესტიციის გაზრდა ლიტერატურაში: გამოყავით დამატებითი თანხები ბიბლიოთეკის კოლექციის გასაფართოებლად, რაც აკადემიურ პერსონალს საშუალებას მისცემს რეგულარულად განაახლოს მასალები და არ ჩამორჩეს თავისი დარგის თანამედროვე პროცესებს;
22. სასურველია, რომ თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილნი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები;
23. გამჭვირვალე, ეფექტიანი და ყოვლისმომცველი გარე ხარისხის უზრუნველსაყოფად, სასურველია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური მონაწილეობა პროცესში, მათ შორის გარე შეფასების შედეგების საფუძველზე დოკუმენტის მომზადებაში.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენა);

„ტურიზმის“სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული (1019);
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო და წესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ მასთან ერთად დასკვნის შემუშავებაზე მუშაობდა ექსპერტი თამარ გვიანიშვილი. მისი თქმით, შეფასება განხორციელდა ვიზიტის გარეშე, მოსაზრებებისა და მიგნებების ურთიერთგაცვლის შედეგად. შესაბამისად, ამ უკანასკნელის საფუძველზე შეფასდა კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. ექსპერტთა მიერ პროგრამა შეფასდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირველი და მეორე სტანდარტით და 4.1-ი ქვესტანდარტით. პროგრამის მიმართ გაცემული იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსი „კვლევითი პროექტი“, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევითი პროექტის არსის და შეფასების სისტემის ურთიერთშესაბამისობა. პროგრამის მიმართ ასევე გაცემული იყო განმავითარებელი რჩევები. მაგალითად, პროგრამაში არსებობდა ტექნიკური ხარვეზი და რჩევა გაიცა მის გამოსასწორებლად: ,,მიზანშეწონილია დაკორექტირდეს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ვიწრო სფეროს დასახელება: ,,სპეციალური მომსახურებები“ (კოდი: 101)” და შეიცვალოს ჩანაწერით: ,,პერსონალური მომსახურებები/Personal Services” (კოდი: 101)“. ასევე პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რჩევა: ,,მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობა - მიეთითოს ინგლისური ენის ფლობის მინიმალური მოთხოვნილი ,,B1'' დონე, როგორც ეს არის მითითებული დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში''. ასევე ,,მიზანშეწონილია „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსიდან ამოღებულ იქნეს უარყოფითი შეფასებების (Fx, F) განმარტებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კომპონენტის შეფასებისთვის და არ არის კავშირში სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან''. ბოლო რჩევა პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო, რომ ,,მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემის მითითების გარდა, ასევე მიეთითოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემაც''. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები გაცემულ რჩევებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა ჩავლეიშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყველა რჩევა და რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია. აკადემიურ საბჭოზე რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების შესახებ საკითხი უკვე დაყენებულია და ყველა ეტაპი გავლილია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლის შესახებ ინფორმაცია ნახსენები იყო რჩევებში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო საუბარი იმის შესახებ თუ რა მოეთხოვებოდა აპლიკანტს პროგრამაზე ჩასარიცხად, კერძოდ, უცხო ენის ცოდნის დადასტურება თუ გამოცდის ჩაბარება. დაწესებულების ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის თანახმად მიღების წინაპირობად განსაზღვრული იყო ინგლისური ენის ,,B1'' დონეზე ცოდნა. მას აინტერესებდა, რამდენად იყო შესაბამისი ეს პროცესი სამაგისტრო საფეხურისთვის, მით უფრო ტურიზმის მიმართულებით კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან პროგრამების შესაბამისობის ნაწილში. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ქვესტანდარტის კომპონენტი გულისხმობს ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას. ექსპერტებმა ნახეს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, სადაც ნამდვილად იყო მითითებული დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. მისი თქმით, შესაძლებელია წარმოდგენილ პროგრამაში იყოს ტექნიკური ხარვეზი. მინისტრის

ბრძანებით განსაზღვრულია, რომ აუცილებელია არანაკლებ ,,B1'' დონეზე იმ ენის ფლობა რა ენაზეც ხორციელდება პროგრამა ან მისი ცალკეული კომპონენტები. გამომდინარე აქედან, ვებ-გვერდზე განთავსებული კურიკულუმის ჩანაწერი პასუხობს მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა დაწესებულებას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს ენის ცოდნის დონე მაგალითად ,,B2'' დონემდე. რაც შეეხება კლასიფიკატორთან შესაბამისობის საკითხს, აღნიშნა, რომ შეფასებას ექვემდებარება მეორე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ამიტომ მათ ყურადღება გაამახვილეს მის მოთხოვნებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტურიზმის პროგრამების მხარდამჭერმა კომიტეტმა მიღების წინაპირობების საკითხში უცხო ენა მოხსნა, თუმცა ამავე კომიტეტმა, მითითებული რჩევების საფუძველზე ისევ დააბრუნა. რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნას ,,B2'' დონეზე, აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გაივლიდა ამ საკითხს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:04
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

თემატიკის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს წევრებმა გადაწყვეტეს სამივე საკითხი გა ნეხილათ ერთად.

მეოთხე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვა და უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

„თავდაცვა და უსაფრთხოების"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თავდაცვა და უსაფრთხოება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა;
სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 260;
სტატუსი: აკრედიტებული;

მეხუთე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვის ანალიზის" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

„თავდაცვის ანალიზის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თავდაცვის ანალიზი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თავდაცვის ანალიზის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 121;
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და ქეთევან ნანობაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის შემთხვევაში პირველ სტანდარტთან იყო ,,მეტწილად შესაბამისობა''. ორივე პროგრამასთან მიმართებით გაიცა სამი რეკომენდაცია. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ცამეტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ცხრა რჩევა გაიცა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა. რაც შეეხება რჩევებს, რჩევების ნაწილია გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ. მან გამოთქვა სურვილი, რომ სამომავლოდ დაწესებულება გაითვალისწინებდა იმ რჩევებს, რომლებიც ეხებოდა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებას პერსონალში. ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამრავალფეროვნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლასტერული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. თავდაცვის აკადემია ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც ასეთ პროგრამებს ახორციელებს. ასევე, დარჩენილი რჩევების გათვალისწინება მოხდება ეტაპობრივად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, დანართი ხუთით წარმოდგენილი იყო თუ არა ახალი, მოდიფიცირებული პროგრამა. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველივე შედეგი ცოდნა გაცნობიერების ნაწილში მოიცავდა ოთხ ზმნას, შესაბამისად, მას აინტერესებდა ხომ არ გაუჭირდებოდა დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ შენიშვნას უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა. მისი თქმით, ექსპერტების ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო მოდიფიცირებული პროგრამები. ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ დაამატა, რომ რეკომენდაციაში აქცენტი იყო გაკეთებული დაჯგუფებაზე, რადგან ზოგადი სამოქალაქო, ასევე სპეციფიკურად სამხედრო საგნები ისწავლება. შედეგებთან მიმართებით ამ კუთხითაც იყო ხაზგასმული. შესაბამისად დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, საგნების დაჯგუფებასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო სწავლის შედეგები, რომლებიც არ იყო დაჯგუფებული, ცოდნა, გაცნობიერება და უნარების პასუხისმგებლობა ავტონომიურობის მიხედვით. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო დაჯგუფებაზე. ასევე შერეული იყო სამოქალაქო და სამხედრო უნარები ერთმანეთში და არ იყო გასაგები მათი შეფასების კრიტერიუმები, ხოლო მოდიფიცირებული პროგრამით ნათლად გაიმიჯნა ეს ყველაფერი ერთმანეთისაგან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:31
დასრულების დრო: 17:34
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვა და უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვა და უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,თავდაცვის ანალიზის" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის

აკადემიის „თავდაცვის ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

თემატიკის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს წევრებმა გადაწყვეტეს სამივე საკითხი გა ნეხილათ ერთად.

მეექვსე საკითხი: "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის№ 848368 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

მეშვიდე საკითხი: "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმროს მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის№ 848322 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

მერვე საკითხი: "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის№ 848338 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

განათლების ხარსიხის ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა, დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამ პროგრამაში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ პროგრამებმა კლასტერის სახით აკრედიტაცია გაიარეს 2023 წლის ივლისში. გადაწყვეტილებებში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომები, კერძოდ, რეკომენდაციები არეულია პროგრამებს შორის. ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის'' საბაკალავრო პროგრამის მიმართ გადაწყვეტილებაში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა''. რა თქმა უნდა, ბუნებრივია საბაკალავრო პროგრამას ეს რეკომენდაცია ვერ შეეხებოდა. შესაბამისად, ის კლასტერში მოქცეული სამაგისტრო პროგრამის რეკომენდაციაა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნას და სამაგისტრო პროგრამის გადაწყვეტილებაში ჩაიწეროს. ასევე სამაგისტრო პროგრამის გადაწყვეტილებაში მოცემულია ორი რეკომენდაცია, რომელშიც ჩამოთვლილია რიგი კურსები და სილაბუსები პროგრამის, რომელიც რეალურად საბაკალავრო პროგრამას მიემართება, რადგან ჩამოთვლილ კურსებს არ მოიცავს აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიმართაც გაიცა რეკომენდაციები. შესაბამისად, რეკომენდაციები უნდა გადავიდეს შესაბამის პროგრამაში. მესამე პროგრამის მეხუთე რეკომენდაცია გადაწყვეტილებაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: ,,დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი''. ეს არის სამაგისტრო პროგრამის რეკომენდაცია და საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციებიდან. მოღებულ უნდა იქნას. აკრედიტაციის

საბჭომ იმსჯელა ცენტრის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე, რომელიც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამ პროგრამაში დაფიქსირებულ ხარვეზის გამოსწორებას ეხებოდა და ერთხმად დააკმაყოფილეს ის.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848368 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:
რეკომენდაციები :

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
2. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
4. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.
5. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულრეკრეაციული პოტენციალი და ა.შ.” სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.

რჩევები :

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;

4. "სასტუმროს მომსახურება" მიზანში ტურიზმის პოლიტიკის თემა აისახოს შესაბამის სასწავლო კურსებში ან შემოღებულ იქნას სასწავლო კურსი "ტურიზმის პოლიტიკა".
5. სასურველია, განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ,,ინგლისური ენის B2 დონის" დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან."

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმროს მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციისმინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848322 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:
რეკომენდაციები :

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
2. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
4. რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა: ,,სასტუმროს სერვისები, ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი, კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ტუროპერეიტინგი, MICE ტურიზმი და ღონისძიებების მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში, პრაქტიკა, კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკოტურიზმი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საბაკალავრო ნაშრომი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში" განისაზღვროს ადეკვატური დაშვების წინაპირობები.
5. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რჩევები :

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;"

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848338 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:
რეკომენდაციები :

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
2. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
4. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა, სადაც მოცემული იქნება კვლევის განხორციელების სტანდარტების მიხედვით კვლევის პროცესის ყველა ეტაპი (ლიტერატურის ანალიზი, ჰიპოთეზების და საკვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, ციტირების სტილი) და ასევე რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომში კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით.
5. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.
6. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რჩევები :

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
4. სასტუმროს მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსის "ტურისტული პროექტების მენეჯმენტი" განახლდეს სასწავლო ლიტერატურა სასწავლო კურსის თემატიკის მიხედვით.
5. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების (მუდმივი/სისტემატური) გატარება"

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა